ხელშეკრულება №05-05/ 814
გაზიფიკაციის პროექტის შედგენაზე

ქ.თბილისი "24" 03 2016 წ.

შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი" (შემდგომში ,,შემსრულებელი"), მთავარი ინჟინერის გიორგი ლეფსვერიძის სახით, ერთის მხრივ, **,,შ.პ.ს იფქლი პირველი"** (შემდგომში ,,დამკვეთი") **მიხეილ კვესაძის** სახით, მეორეს მხრივ, მოქმედი **წესდების** საფუძველზე, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები", ხოლო ცალ–ცალკე – „მხარე", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას მის მიერ გაცემული ტექნიკური პირობის საფუძველზე შეადგინოს გაზიფიკაციის პროექტი (შემდგომში - ,,მომსახურება"), დამკვეთის მისამართზე: **გოძიაშვილის ქ.N22/24** ხოლო დამკვეთი, თავის მხრივ, კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.
1.2. მომსახურება შემსრულებლის მიერ ითვლება შესრულებულად და დამკვეთის მიერ მიღებულად მომსახურების შესრულებაზე შემსრულებლის მიერ წარდგენილი და დამკვეთის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით.
2.2. მომსახურების ღირებულება შეადგენს **90 (ოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი)**საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.3. დამკვეთი იხდის მომსახურების ღირებულებას წინასწარი გადახდის სახით, მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.
3.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია:
3.2.1. მხარეთა შეთანხმებით;
3.2.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
3.2.3. ერთ–ერთი მხარის ინიციატივით, ამასთან ხელშეკრულების მოშლის ინიციატორმა მხარემ მეორე მხარეს უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების სავარაუდო შეწყვეტის თარიღამდე არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე.
3.2.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

4.1. შემსრულებელი ვალდებულია:
4.1.1. გასწიოს მომსახურება დამკვეთის მიერ მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გაზიფიკაციის პროექტის შედგენისათვის აუცილებელი დოკუმენტების (მათ შორის: ტერიტორიის გენგეგმა მიწისქვეშა კომუნიკაციებიების მითითებით, იმ სართულის გეგმა, სადაც ხორციელდება ბუნებრივი გაზის ხელსაწყოების მონტაჟი და სხვა) შემსრულებლისთვის წარდგენიდან 15**(თხუთმეტი)** სამუშაო დღის განმავლობაში;
4.1.2. მომსახურების გაწევისას უზრუნველყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა წესის, ნორმის, სტანდარტის დაცვა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.
4.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:
4.2.1. მომსახურების გაწევის პროცესში ჩართოს ნებისმიერი მესამე პირი, დამკვეთთან წინასწარი ნებართვის გარეშე.
4.3. დამკვეთი ვალდებულია:
4.3.1. მოიპოვოს და წარმოუდგინოს შემსრულებელს ის დოკუმენტები, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია გაზიფიკაციის პროექტის შედგენისათვის;
4.3.2. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.
4.4. დამკვეთი უფლებამოსილია:
4.4.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ გასაწევი მომსახურების მიმდინარეობა და ხარისხი

5. ფორს–მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს–მაჟორული გარემოებებით, როგორიცაა საგანგებო და გადაულახავი გარემოებები: ხანძარი, გაფიცვა, ბუნებრივი და სხვა სტიქიური და სოციალური ხასიათის მოვლენები, ასევე სახელისუფლო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებმაც

შეუძლებელი გახადა ხელშეკრულების შესრულება.
5.2. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის ან შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს, აგრეთვე აცნობოს თავისი მოვალეობების შესრულების განახლების მოსალოდნელი თარიღი.
5.3. ფორს–მაჟორული გარემოებების ერთ თვეზე მეტი დროით არსებობის შემთხვევაში, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით.
5.4. ხელშეკრულების მე–5 მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ფინანსური ვალდებულებებისაგან, რომლებიც წარმოიშვა ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომამდე.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავების გადაწყვეტა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, უთანხმოება და მოთხოვნა წყდება ორმხრივი მოლაპარაკებების გზით.
6.3. დავის წარმოშობიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დამატებითი პირობები

7.1. ხელშეკრულების მოქმედება, განმარტება და შესრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
7.2. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, დოკუმენტი ან სხვა სახის მიმოწერა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის ითვლება შესაბამისი წესით გაგზავნილად, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით და გაგზავნილია ქვემოთ მითითებულ მისამართებზე და/ან ინფორმაცია მიწოდებულია ტელეფონოგრამის საშუალებით.
7.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეთა მიერ დამატებითი შეთანხმების გაფორმების გზით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იქნას მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.
7.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამკვეთს, ორი– შემსრულებელს.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი

შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი“
თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა
ს/კ 205129617, სს ,,საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22, ა/ა GE 18 BG 0000000821305500

გ. ლეფსვერიძე

დამკვეთი

,,შ.პ.ს იფქლი პირველი“
მისამართი; **გოძიაშვილის ქ.N22/24**
საიდენტიფიკაციო კოდი:404955198
ანგარიშის ნომერი:

გადახდის ქვითარი № 0 გადახდის თარი 24.03.2016

მიმღები: შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი"- ის სალარო №

გადამხდეც „შ.პ.ს იფქლი პირველი" გოძიაშვილის ქ. 22/24

დანიშნულ გაზ.-ის პროექტირების ღირებულება თანახმად ხელშ.-ისა №

გადახდილი თანხა: 90 00 თეთრი

ოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი

გადამხდეც მოლარე

ბეჭდვა https://www.ipay.ge/ess-payment-agents-web/printPreview.servlet?c

თარიღი

№ 1326821540-1 გადახდის დავალება

გადამხდელი	შპს"იფქლი პირველი"
აბონენტის ნომერი	01013013815
აბონენტი	მიხეილ კვესაძე
დანიშნულება	პროექტირების ღირებულება
თანხა	90 ლარი

შპს "დაირექტ დებიტ ჯორჯია" - iPay.ge

აგენტი	ყაზტრანსგაზის ს/ც
აგენტის მისამართი	მიცკევიჩის №18
მ/ოპერატორი	ეკა ლომიძე

მისამართი

ხელმოწერები

გადამხდელი მ/ოპერატორი

თარიღი

№ 1326821540-2

გადამხდელი	შპს"იფქლი პირველი"
აბონენტის ნომერი	01013013815
აბონენტი	მიხეილ კვესაძე
დანიშნულება	ანგარიშსწორების მომსახურების საკომისიო
თანხა	1 ლარი

შპს "დაირექტ დებიტ ჯორჯია" - iPay.ge

აგენტი	ყაზტრანსგაზის ს/ც
აგენტის მისამართი	მიცკევიჩის №18
მ/ოპერატორი	ეკა ლომიძე

მისამართი

ხელმოწერები

გადამხდელი მ/ოპერატორი

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15170788, 26/08/2015 09:59:43

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს იფქლი პირველი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404955198
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	16/08/2012
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გოძიაშვილის ქ., № 22/24
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	info+@ipqli-1.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
შპს პური (202296194)	გამოყოფა	შპს იფქლი პირველი (404955198)	16/08/2012

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01013013815, მიხეილ კვესაძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
3-1363841-3, 12277770, , ორლი (ოფელია) მიხაელი, ისრაელი	66.00000000%	
01017006552, ტატიანა ბაკურაძე	34.00000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge